ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 518

"20" ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" (ს/ნ. 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" (ს/ნ 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 ივნისის №23.845.959 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1450.1619 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ამ განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" (ს/ნ. 404851503) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2 424 609 (ორი მილიონ ოთხას ოცდაოთხი ათას ექვსას ცხრა) ლარის გადახდის პირობით, გაუქმდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" (ს/ნ. 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულებით განკარგულ 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ.

№01.11.12.022.018) ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები - „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404851503) შორის, 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულებით განკარგულ 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.022.026) ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები - „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“ და „კეთილმოწყობის პირობით“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე